## შენიშვნა: ყოველი დღის ბოლოს სავალდებულოა Z ანგარიშის ბეჭდვა. Z ანგარიშის დასაბეჭდად:

მთავარი მენიუდან ღილაკზე [↑] ან [↓] ხელის დაჭერით, ირჩევთ "3)Z ანგარიშები" აჭერთ [TOTAL], შეგვყავთ პაროლი 30, ადასტურებთ [TOTAL], ირჩევთ "1) ყოველდღიური" და ადასტურებთ.

ეკრანზე გამოჩნდება შეტყობინება <გავიდა 24 საათი> იმ შემთხვევაში თუ 24 საათზე მეტია რაც არ დაბეჭდილა Z ანგარიში. მუშაობის გასაგრძელებლად ამობეჭდეთ Z ანგარიში.

თუ გაყიდვის რეჟიმში შესვლისას აპარატმა დაწერა <გავიდა 72 საათი> ნიშნავს რომ სალარო აპარატი გათიშულია ტექნიკური მომსახურების სააბონენტო გადასახადის გადაუხდელობის გამო. სალარო აპარატის გათიშვის თავიდან აცილების მიზნით გთხოვთ დროულად გადაიხადოთ მომსახურების სააბონენტო გადასახადი.

60 ლარი = 12 თვე

## დეტალური ანგარიშების ამობეჭდვა:

მთავარი მენიუდან ვირჩევთ [↑] ან [↓] "8) არქივი" [TOTAL] შეგვყავთ პაროლი 30 ადასტურებთ [TOTAL]. ეკრანზე გამოჩნდება "1) ასლის ბეჭდვა" შედით მენიუში [TOTAL] ღილაკზე ხელის დაჭერით. შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი ანგარიშის ტიპი მაგ. "2) ფისკალური ქვითრები" და ადასტურეთ [TOTAL]. აირჩიეთ ქვითრის ძებნის მეთოდი "1) ნომრით" ან "2) თარიღით" და დაადასტურეთ. [TOTAL] შეიყვანეთ შესაბამისი ქვითრების ნომრების დიაპაზონი ან თარიღის დიაპაზონი და დაადასტურეთ [TOTAL]. დაიბეჭდება თქვენს მიერ არჩეული ანგარიშისა და დიაპაზონის ასლები.

## თანხის, რაოდენობაზე ან წონაზე გამრავლება

იმისათვის რომ სალარო აპარატმა რაოდენობა/წონა გაამრავლოს საქონლის ფასზე, გაყიდვის რეჟიმში აკრიფეთ რაოდენობა და დააჭირეთ [X]. ეკრანზე დაიწერება რომ აკრეფილი ციფრი რაოდენობაა, შემდეგ აკრიფეთ ფასი და დააჭირეთ [DP1]. აპარატი ავტომატურად გაამრავლებს რაოდენობას/წონას ფასზე და შედეგს დაბეჭდავს ქვითარზე. ქვითრის დასახურად დააჭირეთ [TOTAL].

## ცხელი ხაზი (032) 2 42 45 45

საბანკო რეკვიზიტები
სს "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
ანგარიშის ნომერი: GE29LB0113184155744000

გადახდის დანიშნულებაში გთხოვთ მიუთითოთ სალარო აპარატის GE XXXXXXXXXX ნომერი (ასახულია სალაროს ქვითარზე მარცხენა ქვედა ბოლოში, ასევე სალარო აპარატის უკანა მხარეს როგორც საქარხნო ნომერი და აღნიშნული მითითებულია ხელშეკრულებაში)

მისამართი: ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. 77
ტელ: 599 36 22 88; 577 11 40 41; 574 81 88 11

www.kasa.ge

ქასა ჯი DATECS

# სალარო აპარატები



DP-25



DP-05



DP-150

- ახალი თაობის GPRS სალარო აპარატები
- SAM მოდულის ტექნოლოგიით
- სრული ქართული მენიუ

www.kasa.ge

## სალარო აპარატის ჩართვა

აპარატი ჩაირთვება [⏻] ღილაკზე ხელის დაჭერით. ეკრანზე გამოჩნდება მთავარი მენიუ. ელ. საკონტროლო-სალარო აპარატი გამოირთვება ღილაკზე [⏻] დიდ ხანს დაჭერით ან მთავარი მენიუდან ღილაკზე [0] ხელის დაჭერით.

## სასურველ რეჟიმში შესვლა

ისრებიანი ღილაკების [↑] ან [↓] დახმარებით, შეარჩიეთ რეჟიმი და დაადასტურეთ [TOTAL] ხელის დაჭერით. ღილაკით [⏻] დატოვებთ ნებისმიერ რეჟიმს და დაუბრუნდებით წინა მენიუს.

**DP-05** აპარატზე ხანგრძლივად [⇧] თითის დაჭერით ეკრანზე გამოჩნდება თარიღი, დრო და დარჩენილი მუხტის რაოდენობა.

## გაყიდვის რეჟიმში შესვლა და გაყიდვის აღწერა

1.შესვლა : მთავარი მენიუდან ირჩევთ

| მთავარი მენიუ 11:20 |
|---|
| 1 გაყიდვა |
| 2 X რეპორტი |

აჭერთ [TOTAL] შეგყავთ პაროლი [1] და ადასტურებთ [TOTAL]

2. ქვითრის გამოსაწერად აკრიფეთ სასურველი თანხის ოდენობა, დააჭირეთ [DP1]-ს, დაიბეჭდება ქვითრის ნაწილი, ბეჭდვის დასასრულებლად დააჭირეთ [TOTAL] მაგალითად: 10 ლარი და 50 თეთრის გამოსაწერად აკრიფეთ <10>.<5> შემდეგ [DP1] და დაადასტურეთ [TOTAL]

3. თუ ქვითარში გსურთ გამოჩნდეს რამოდენიმე თანხა,ყოველი თანხის აკრეფის შემდეგ დააჭირეთ [DP1] -ს . მას შემდეგ, რაც თქვენთვის სასურველ ყველა თანხას შეიყვანთ, უთითებთ მომხმარებლის მიერ მოწოდებულ თანხას, ვაჭერთ [TOTAL] , მაგ: ღირებულება 10.50-- [DP1] —20 (მოწოდებული თანხა)-- [TOTAL] ეკრანზე გამოჩნდება ხურდა და ქვითარი დაიხურება.

## ნაღდი ფული სალაროში

ვაჭერთ ღილაკს [⇧] და შემდეგ [STL]. ეკრანზე გამოჩნდება ბოლო Z ანგარიშის მოხსნის შემდეგ დაგროვილი ნავაჭრი. ყოველი Z ანგარიშის მოხსნის შემდეგ ნავაჭრი ტოლია 0 ის.

## ქვითრის კორექტირება

არასწორად შეყვანილი თანხის კორექტირება:
თუ თანხა არასწორად იქნა შეყვანილი და ქვითარი ჯერ არ არის გახსნილი(ხელი არ დაგიჭერიათ [DP1]) კორექტირებისათვის დააჭირეთ ღილაკს [C].

## ქვითრის ანულირება:

თუ თანხა არასწორად შეიყვანეთ და [DP1] -ით გახსენით ქვითარი, [↑] ან [↓] ღილაკზე ხელის დაჭერით ეკრანზე გამოჩნდება ქვითარში ასახული თანხები.
აირჩიეთ გასაუქმებელი თანხა ქვითარში და დააჭირეთ [VD] ღილაკს , შემდეგ. [TOTAL] არასწორად შეყვანილი თანხა გაუქმდება და დაიბეჭდება ქვითარი მხოლოდ სწორი თანხებით(თუ ქვითარში მხოლოდ ერთი თანხა იყო დაფიქსირებული ქვითარი გაუქმდება).

## გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება :

უკან დაბრუნების ქვითრის გამოსაწერად დააჭირეთ ღილაკს [VD] მანამ სანამ აპარატი არ გამოსცემს ხმოვან სიგნალს და ეკრანზე არ გამოჩნდება V სიმბოლო, შეიყვანეთ უკან დასაბრუნებელი საქონლის თანხა და დააჭირეთ [DP1]ს. ბეჭდვის დასასრულებლად დააჭირეთ [TOTAL] დაიბეჭდება უკან დაბრუნების ქვითარი.

სალაროში არსებული თანხა უნდა აღემატებოდეს ან ტოლი იყოს უკან დასაბრუნებელი თანხის. წინააღმდეგ შემთხვევაში უკან დაბრუნების ქვითრის დაბეჭდვა შეუძლებელი იქნება.